

# ადრეული (სკოლამდელი) განათლება/ Early (preschool) Education

მარეხი ნიკოლაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ნინო მამრიკიშვილი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბავშვთა მიმართ ძალადობა და ძალადობის იდენტიფიცირების საკითხები  
სკოლამდელ დაწესებულებაში

DOI: 10.52340/erp.2024.05.08

## აბსტრაქტი

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა, მონაწილე სახელმწიფოებს ავალებს ბავშვის დაცვას ყოველგვარი ძალადობისაგან, თუმცა კვლევები თუ მასობრივი საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბავშვები ძალადობისაგან ჯერ კიდევ არ, ან არასათანადოდ არიან დაცულნი. განსაკუთრებით მძიმე და ამ დრომდე შეუსწავლელია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვების უფლებების დაცვის საკითხები. შესაბამისად, პრევენციული ღონისძიებების გარდა ჯერ ისევ აქტუალურია ძალადობის ფაქტებზე რეაგირების საკითხებიც.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები (მთავრობის დადგენილება) მოიცავს ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებს, თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ რეფერირების პროცესში ჩართული სუბიექტების (საბავშვო ბაღები) პერსონალის ინფორმირებულობის დონე, ამ პროცესში მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, დაბალია. გამოკითხულთა უმეტესობა არ იცნობს ძალადობის ყველა სახეს და მათთვის სირთულეს წარმოადგენს ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირების საკითხიც.

ბავშვებთან ყოველდღიურ კონტაქტში მყოფი სპეციალისტები ამ პროცესში მთავარ როლს ასრულებენ. ამიტომ, ვფიქრობთ, საჭიროა სახელმწიფოს მიერ მოხდეს ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან დაკავშირებით მასობრივი კამპანიის წარმოება, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება, მათი საჭირო რესურსით აღჭურვა. ასევე მნიშვნელოვანია სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებული პროფესიული და

საბაკალავრო პროგრამები შეიცავდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის, მასზე რეაგირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, და აუცილებელია მოხდეს პრევენცია მშობელთა ინფორმირებულობის ზრდის ხელშეწყობით.

**საკვანძო სიტყვები:** უფლებები, დაცვა, რეფერირება, სკოლამდელი.

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებს შორის ყველაზე ფართოდ აღიარებულ დოკუმენტად მიიჩნევა. იგი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღონ ყველა ის აუცილებელი ზომა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ დაიცვან ბავშვი მშობლების ან სხვა პირის მხრიდან ყოველგვარი ფორმით ძალადობისაგან.

აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1994 წელს შეუერთდა და შესაბამისად, უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებს (სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები საკმაოდ ბევრ რესურსს დებენ ამ მიმართულებით), მიუხედავად ამისა, სხვადასხვა კვლევა თუ მასობრივი საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბავშვები ძალადობისაგან ჯერ კიდევ არ, ან არასათანადოდ არიან დაცულნი.

აღზრდის პროცესში ძალადობრივი მეთოდების გამოყენება, სამწუხაროდ ჯერ ისევ ნორმად მიიჩნევა. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოში ბავშვების 66% ოჯახის წევრების მხრიდან ხშირად ფსიქოლოგიურ აგრესიას განიცდიან, ხოლო მათი 36%-ის მიმართ ფიზიკურ დასჯას (მათ შორის ხუთი პროცენტის მიმართ სასტიკ დასჯას) იყენებენ („საქსტატი“).

მიმე შედეგებს გვიჩვენებს ასევე გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევებიც, რომლის მიხედვითაც „საზოგადოების 60% ფიქრობს, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები“ (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013, გვ. 22). სურათს კიდევ უფრო ართულებს ის, რომ „საზოგადოების 63% აღნიშნავს - ბავშვი თავის მშობლებს ეკუთვნის და მხოლოდ მათ შეუძლიათ მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება. ამ მოსაზრების მხარდამჭერთაგან ნახევარი მიიჩნევს, რომ ბავშვი ოჯახში უნდა დარჩეს მაშინაც კი, როდესაც ოჯახში ძალადობას აქვს ადგილი“. (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013, გვ. 23)

განსაკუთრებით მძიმე და ამ დრომდე შეუსწავლელია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვების უფლებების დაცვის საკითხები. ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი ეთნოსისათვის ფიზიკური დასჯა აბსოლუტურად მისაღებ პრაქტიკას წარმოადგენს და უმეტესად ამ თემაზე საუბარსაც თავს არიდებენ. სამწუხაროდ ისინი ზოგჯერ ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრების არამედ გარშემომყოფი საზოგადოების მხრიდან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პრევენციული ღონისძიებების გარდა ძალადობის ფაქტებზე რეაგირების საკითხები ჯერ ისევ აქტუალურია. შესაბამისად, სწრაფი და სწორი რეაგირების მექანიზმების ამუშავება ისევ დღის წესრიგში დგას.

2016 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება (№437) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავს „ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობას, რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით“ (მუხლი 1.). შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტით არის განსაზღვრული ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებიც.

რეფერირების პროცესში ჩართული სუბიექტები - საბავშვო ბაღები, „მათი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილნი არიან, რეფერირების პროცედურების ფარგლებში ბავშვზე ძალადობის ექვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზონ შემთხვევა და საფუძვლიანი ექვის შემთხვევაში უზრუნველყონ სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება. ამ პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტები ვალდებული არიან, სააგენტოსთან თანამშრომლობით აწარმოონ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა, მათი კომპეტენციის ფარგლებში.“ (მუხლი 5. პუნქტი 10).

იმის დასადგენად, თუ როგორ ხორციელდება რეფერირების პროცედურები სკოლამდელ დაწესებულებაში, ჩვენ ჩავატარეთ კვლევა. კვლევის ობიექტს საჯარო და კერძო სკოლამდელი დაწესებულების პერსონალი წარმოადგენდა. კვლევის მეთოდად შეირჩა რაოდენობრივი კვლევა.

შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

რესპოდენტთა 72% არ იცნობს რეფერირების დოკუმენტს, 20%-ს სმენია აღნიშნულის შესახებ, თუმცა აღმზრდელის მოვალეობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას არ ფლობს. გამოკითხულთა მხოლოდ 8% აღნიშნავს, რომ გავლილი აქვს ტრენინგი ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ რეფერირების პროცედურებში თავად ჩართული არ ყოფილა, მიზეზად კი ასახელებენ, რომ რთულია დაადგინო ძალადობის სავარაუდო შემთხვევა, და „თუ შეცდი, მშობელი „ცუდ დღეში“ ჩაგაგდება“.

ზემოთ აღნიშნული შედეგების შემდეგ კიდევ ერთი კითხვარი მოვამზადეთ, რომელიც ძალადობის სახეებისა და ბავშვზე სავარაუდო ძალადობის ნიშნების შესახებ პერსონალის წარმოდგენებისა და ინფორმირებულობის დონის დადგენაში დაგვეხმარა.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა არ იცნობს ძალადობის ყველა სახეს და ფიზიკურ დასჯას ოჯახში ფიზიკური ძალადობის აქტად არ განიხილავს.

არსებული რეალური ვითარების ფონზე, ძალიან რთული შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვზე ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება. ბუნებრივია, თუ ჩვენ არ ვიცნობთ და არ ვაღიარებთ ძალადობის ზოგიერთ ფორმას, ძალადობის შემთხვევები რეაგირების გარეშე დაგვრჩება.

კითხვაზე, თუ რა ზომებს მიიღებენ, თუ გაუჩნდებათ საფუძვლიანი ეჭვი ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ: რესპოდენტთა 58% ამბობს, რომ პირველ რიგში სთხოვს მის კოლეგას მასთან ერთად დააკვირდეს ბავშვს და შემდეგ დაელაპარაკოს ოჯახის წევრს. 22% ამბობს, რომ ხელმძღვანელს ჩააყენებს საქმის კურსში და შესაბამისად იმოქმედებს („როგორც ხელმძღვანელი დამავალებს“). ზოგიერთი ფიქრობს, რომ ვერც გაუბედავს მშობელს ამ თემაზე საუბარს, რადგან ხშირ შემთხვევაში მისგან აგრესია მოდის.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საბავშვო ბაღი, დაწესებულება, რომელსაც უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის იდენტიფიცირების საქმეში, ხშირად არ ფლობს ინფორმაციას შესაბამისი პროცედურების შესახებ, შესაბამისად ძალადობის ფაქტები ყურადღების მიღმა რჩება, ან ვერ ხდება მასზე სწორი რეაგირება. მიუხედავად იმისა, რომ რეფერირების წესი ითვალისწინებს კონკრეტულ გარემოებებს, თუ რა შეიძლება გახდეს საფუძვლიანი ეჭვის ფუნდამენტი (მუხლი 5, პუნქტი 13) და მეექვსე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია ფაქტორები, რომლებიც ბავშვზე

სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე შესაძლოა მიუთითებდეს, რთულია მოხდეს ძალადობის იდენტიფიცირება და მასზე რეაგირების მოხდენა.

რეკომენდაციები:

სპეციალისტები, რომლებიც ყოველდღიურად არიან კონტაქტში ბავშვებთან ძალადობის იდენტიფიცირებისა და პრევენციის პროცესში მთავარ როლს ასრულებენ. ამიტომ, სასურველია:

- სახელმწიფოს მიერ მოხდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების საკითხებთან დაკავშირებით მასობრივი კამპანიის წარმოება (მაგალითად სოციალური ვიდეორგოლების საშუალებით), მათ შორის დაწესებულების მიერ შეტყობინების წარმატებული პრაქტიკების შესახებ.
- მოხდეს სკოლამდელი დაწესებულების პედაგოგთა გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებისა და რეფერირების პროცედურების განხორციელების შესახებ. ასევე, პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირების საქმეში.
- მოხდეს სკოლამდელი დაწესებულების პერსონალისათვის ბავშვთა მიმართ ძალადობისა და რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებული უახლესი ელექტრონული და ბეჭდური რესურსის მიწოდება.
- სკოლამდელი აღზრდის პროფესიული პროგრამა შეიცავდეს მოდულს, რომელიც მომავალ აღზრდელ პედაგოგებს აღჭურავს ქმედითი ცოდნითა და უნარებით.
- ასევე, სკოლამდელი აღზრდის საბაკალავრო პროგრამა მოიცავდეს ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ძალადობაზე რეაგირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მოხდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია - მშობელთა ინფორმირებულობის ზრდის ხელშეწყობით;

**გამოყენებული ლიტერატურა:**

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 (2016). თბილისი.

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2013) ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში. თბილისი.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2019) მასწავლებლების მიერ ბავშვთა და ქალთა მიმართ ძალადობის შეტყობინება. თბილისი.

<https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2019/teacher%20reporting%20of%20violence%20against%20children%20and%20women%20GEO.pdf>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში.  
<https://geostat.ge/ka/single-archive/3389>

Passek, J. (2019). Kinderschutz in der Kindertagesbetreuung. Köln. LVR Landschaftsverband Rheinland.

Raffauf, E. (2019). Kinder verstehen und im Kita-Alltag professionell begleiten: Wenn Jonah und Sophie Doktor spiele. Cornelsen.

**Nikoladze Marekhi**

Akaki Tsereteli State University

**Nino Mamrikishvili**

Akaki Tsereteli State University

## **Violence against children and issues of identifying violence in preschool institutions**

### **Abstract**

The „Convention on the Rights of the Child“, which Georgia joined in 1994, instructs the participating states to protect children from all forms of violence, although studies and information disseminated through mass media show that children in our country are still not protected from violence, or are inadequately protected. The issues of protecting the rights of pre-school children representing ethnic minorities are particularly serious and still unexplored. Therefore, in addition to preventive measures, the issues of responding to the facts of violence are still relevant.

Procedures (government decree) for child protection appeal (referral) include response mechanisms in case of child abuse, however, our research has shown that the level of awareness of the staff of the entities (kindergartens) involved in the referral process, about their rights and duties in this process, is low. Most of the interviewees are not familiar with all forms of violence and it is difficult for them to identify the fact of violence.

Specialists in daily contact with children play a key role in this process. Therefore, we think that it is necessary for the state to conduct a mass campaign regarding the reporting of cases of violence, to train educators and equip them with the necessary resources. It is also important that professional and undergraduate programs related to pre-school education include issues related to violence against children, responses to it, and prevention by promoting the growth of parental awareness.

**Key words:** rights, protection, referral, preschool.